პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2025 წლის ----- ნოემბერი, ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 108-ე მუხლის პირველი პუნქტის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 28 ოქტომბრის N15/56965 წერილის საფუძველზე ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N84-ის მიმდებარედ არსებული 3125,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.29.09.026).

2. ეთხოვოს სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით, სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 28 ოქტომბერს შემოსულია სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს N15/56965 კორესპონდენცია, რომლითაც მოთხოვნილი იყო სააგენტოს N15/56965 წერილზე თანდართული სიტუაციური ნახაზის და ელ. ვერსიის შესაბამისად, ქ. ბათუმში, გოგებაშვილის ქუჩა N84-ში, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 11300,0 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (ს.კ N05.29.09.025) ნაწილის, 3127,0კვ.მ მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსათვის გადაცემა.

გამომდინარე აქედან, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ საჯარო რეესტრში წარდგენილი განცხადების შესაბამისად, აღნიშნული მიწის ნაკვეთი (ს.კ. 05.29.09.025) დაყო ორ საკადასტრო ერთეულად: 3125,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.29.09.026) და 8175,0 კვ.მ. მიწის ნაკვეთად (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N05.29.09.027).

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, გოგოებაშვილის ქუჩა N84-ის მიმდებარედ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, 3125,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს.კ. 05.29.09.026) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის უფროსი დავით კოპინაძე


221700
221750
221800
221850
221900
221950
222000
222050
222100
4616200
4616150
4616100
4616050
4616000
4615950
4615900
N
1:1,800
05.09.01.003
05.29.01.058
05.29.09.025
05.29.09.025
ბათუმი
05.29.10.010
05.29.10.002
05.29.09.009
3 127 კვ.მ.
05.29.09.006
05.29.10.013
05.29.01.059
05.29.08.032

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

49ა ილია ჭავჭავაძის გამზირი
0179 თბილისი, საქართველო
ტელ:1420
info@nasp.gov.ge

28 / ოქტომბერი / 2025 წ.

KA021787242363125

№ **15/56965**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას

სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2025 წლის 21 აგვისტოს N15/44204 და ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 ოქტომბრის N15-15252961 წერილებთან დაკავშირებით, გთხოვთ, განიხილოთ სსიპ - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან (ს/კ 05.29.09.025) 3127 კვ.მ. ფართის (წარმოდგენილი აზომვითი ნახაზების შესაბამისად) სახელმწიფოს საკუთრებაში გადმოცემის საკითხი, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის თანახმად და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი: 2 ფაილი

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული
სააგენტოს თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ირაკლი შენგელია